ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 05 სექტემბრის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. N48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 08 აგვისტოს N 02/ 2022 განკარგულების გაცნობა „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

   მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

   მომხს: პავლე კიკალიშვილი

4. „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

5. „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის

   მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N **69.692133722**

   განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

სხვადასხვა:

1. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: მარინე ხვედელიძე
   მარინე ვეფხვაძე

2. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: თამარ ლაცაბიძე

3. ლეღვან - ხარაგაულში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: დავით ფანჩულიძე, პროექტის მენეჯერი
   მამუკა რობაქიძე წყალმომარაგების ზედამხედველი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ხარაგაული - 2011“ -ს ლიკვიდაციის პროცესის დასაწყებად მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ინგა თურქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 სექტემბრის მორიგი სხდომის

ოქმი N 14

2022 წლის 5 სექტემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკი კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი– მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ვარლამ ჭიპაშვილი მერი პირველი მოადგილე (შვებულებაში მყოფი თავისი სურვილით)

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნ. თხელიძე -- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. N48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 08 აგვისტოს N 02/ 2022 განკარგულების გაცნობა „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

   მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

   მომხს: პავლე კიკალიშვილი

4. „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

5. „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N 69.692133722 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

სხვადასხვა:

1. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: მარინე ხვედელიძე
   მარინე ვეფხვაძე

2. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: თამარ ლაცაბიძე

3. ლეღვან - ხარაგაულში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: დავით ფანჩულიძე, პროექტის მენეჯერი
   მამუკა რობაქიძე წყალმომარაგების ზედამხედველი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ხარაგაული - 2011“ -ს ლიკვიდაციის პროცესის დასაწყებად მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: ინგა თურქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - N48 ხარაგაულის საოლქო სააჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 08 აგვისტოს N 02/ 2022 განკარგულების გაცნობა „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ(თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ანგარიში - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ(თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რომელმაც დააყენა წინადადება

სამსახურის საქმიანობა დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დ. კიკნაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე,

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 28,

წინააღმდეგი 1.

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

კ. გოგსაძემ, რომელმაც დააყენა წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კ. გოგსაძემ წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე,

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო

საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე -

„ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N **69.692133722** განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

სხვადასხვაში:

მოისმინეს: ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებში არსებული მდგომარეობის შესახებ რესურსცენტრის ხელმძღვანელის მარინე ვეფხვაძის ინფორმაცია, მან აღნიშნა, რომ სკოლებში ჩატარდა180 ბავშვმა დაამთავრა სკოლა, 94 გახდა სტუდენტი, დრეის მონაცემებით ველოდებით 181 პირველკლასელს,
მიზერული თანხ, რომელიც გამოყოფილი იყო სკოლებისათვის გამოყენებული იქნა სკოლებში მცირე კოსმეტიკური სამუშაოებისათვის, წყლის პრობლემების მოგვარებაზე დავიწყეთ აქტიური მუშაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება წყლის ხარისხის შემოწმება.

კ. გოგსაძემ დასვა შეკითხვა წყალაფორეთის სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით და დაასახელა პრობლემა გაკვეთლების შემდეგ ბავშვთა ტრანსპორტის მომსახურების კუთხით.მან ასევე დააყენა წინადადება წარჩინებული აბიტურიენტების წახალისების თაობაზე.

მ. ვეფხვაძემ უპასუხა, რომ წყალაფორეთის სკოლის მშენებლობა დაგეგმილია და დაიწყება წელს, რაც შეეხება მოსწავლეთა გადაყვანის პრობლემას, მსგავსი არ დასახელებულა, შიძლება იყოს ერთეული შემთხვევა, როდესაც პირველ კლასელი არ ელოდა სასწავლო პროცესის დასრულებას და მიდის.

მ. ხვედელიძემ განათლების კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მივესალმები წინადადებას, მარამ სახელმწიფო თვითონ აფინანსებს წარჩინებულ სტუდენტებს

თ. ავალიშვილმა დასვა შეკითხვა მე-3 საჯარო სკოლის სახურავის პრობლემასთან დაკავშირებით

მ. ხვედელიძემ უპასუხა, რომ პრობლემა მოგვარდა

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელის თ ლაცაბიძის ინფორმაცია ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში არსებული მდგომარეობის შესახებ, მან აღნიშნა, რომ მოგვიწია მუშაობა გამწოვებთან დაკავშირებით შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად ამჟამად მიდის ინვენტარის შეძენა, საბნების და ლეიბების განახლება, თეთრეული შეძენა, ყველაზე პრობლემურია ხევის ბაღი, ალბათ 1 ოქტომბრისათვის გავხსნით, წიფის ბაღში შესაცვლელია საწვიმარი არხები, კიცხში წყლის პრობლემა შეიქმნა გვალვების გამო ახლა გაწვიმდა და ალბათ მოვა წყალი. პრობლემებია ხევის ბაღში სავარაუდოდ 1 ოქტომბრიდან ხუნევის ბაღში ვაახლებთ საბნებსა და ლეიბებს, ვიძენთ ტეტრეულს ყ ავტობანის მშენებლობის გამო ველაზე დიდი პრობლემა შეიქმნა ბორითის ბაღში იქ არ გვაქვს საკანალიზაციო სისტემა და, რაც მთავარია ბავშვებისათვის არ არის უსაფრთხო გარემო, ვემზადებით ბაღების ავტორიზაციისათვის, ოქტომბერში გადავამზადებთ 16 მასწავლებელს

მ. ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბორითის ბაღში საკანალიზაციო სისტემის შეკეთებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას აწარმოებს ჩინურ საამშენებლო კომპანიასთან და გამოთქვა იმედი, რომ პრობლემა მოგვარდება.

მოისმინეს: ლეღვან - ხარაგაულში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ **პროექტის მენეჯერის დავით ფანჩულიძის** ინფორმაცია მან აღნიშნა, რომ სამუშაოების ვადის გადაწევა გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ მოგვიწია დაგებული ასფალტის საფარის აყრა და მიწისქვეშა ქსელის თავიდან მოწყობა, როგორც წესი როდესაც დაგეგმილია კანალიზაციის და წყლის სისტემის რეაბილიტაცია ასფალტის საფარი წინასწარ არ იგება ეს იყო პრობლემა, ამჟამად ქსელი მზად არის გამოცდილია მაღალ წნევაზე და სისტემა მუშაობს გამართულად, თუმცა გამორიცხული არაფერია, შეიძლება მოხდეს სადღაც დაზიანება, მაგრამ ვაცხადებ, რომ სისტემა იმუშავებს გამართულად. ამჟამად მიდის პირველი ეტაპი დასრულებულია იწყება მეორე დაბის ქსელის გაშლა და რეზერვუარის გასუფთავება.

მ. ბარარაქაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მოითხოვა დაბაში წყლის ფანტანის დაყენება ,რამდენიმე ადგილას,

დ.ფანჩულიძემ უპასუხა თქვენ უნდა გადაწყვიტოთ სად გინდათ ჩვენ პრობლემა გაკეთების არ გვაქვს.

ვ. ოდიკაძემ საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ დიდვაკეში მოსახლეობა დაზარალდა წყლის მაღალი წნევის გამო , რა ხდება ამ მიმართულებით

ტ. ავალიშვილმა უპასუხა, რომ დავა მიმდინარეობს ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**